სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №134

ზესტაფონი **06 ივნისი 2023 წელი.**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამთა კვინიკაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს “ციტადელი” (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გრიგოლ ქურცაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **(დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა. პროგრამული კოდი 32 03 02 02),** დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასშემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 “ხელშეკრულების ჯამური ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებამ), მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისშესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას, მომსახურების გაწევას ან სამუშაო(ები)ს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯისთვის „კონსტრუქტ2“ პროფესიული მომზადების პროგრამებისთვის ,, საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ და ,,მონოლითური სამუშაოების შესრულება“ საჭირო მასალების შესყიდვა **SMP230001464.**

2.2 კლასიფიკატორის კოდი – CPV44100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **2078 (ორი ათას სამოცდათვრამეტი) ლარს**.

ლამინატის ფანერა 18/2440/1220 – 15 ცალი - 1800 ლარი;

ჰიდროსაიზოლაციო რულონი - 1 ცალი - 108 ლარი;

წებოცემენტი - (25 კგ-იანი) - 10 შეკვრა - 170 ლარი;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, ეროვნული ვალუტით ლარში;

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მოწოდებული საქონლის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება საქონლის მიწოდებისთანავე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2. საქონლის შესყიდვისას გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს ,,შემსყიდველი."

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1„შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად.

6.2შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადად ითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დრო. მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება საქონლის მოწოდების დროს.

6.3ფაქტობრივ შესრულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ამტკიცებს ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“დირექტორი.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს **2023 წლის 07 ივნისის ჩათვლით** შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, გუგუნავას N2

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი"უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მომსახურების ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2 ,,შემსყიდველი"ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 ,,მიმწოდებელი"უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი"ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.1 პუნქტში.

9.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში (არაუგვიანეს 3(სამი) სამუშაო დღისა) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს დასაბუთებული გადაწყვეტილებით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შემსყიდველის სასარგებლოდ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე გადააცილებს ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, შესაბამის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში,თუ ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს

ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **1%**–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 და 11.2 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

11.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“	შპს “ციტადელი”
ს/კ 430035874	პ/ნ 404924285
მისამართი. ქ. ზესტაფონი, ნიკოლაძის ქ. N28	მისამართი. ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N2
მობ. 558 28 54 32	სს „თიბისი ბანკი“,
სახელმწიფო ხაზინა	ა.ა. GE62TB7530536080100001
ა.ა 1096300000	ბანკის კოდი: TBCBG22
ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ დირექტორის	შპს “ციტადელის” დირექტორი
მ.შ. თამთა კვინიკაძე	გრიგოლ ქურცაძე
---	---

Grigol Kurtsadze 54001020942

Digitally signed by Grigol Kurtsadze
Date: 2023.06.06 10:08:11